კვირა, 10 აგვისტო, 1930 წ. № 30. ფასი 10 კაპ.

ტარტაროზი



12 571

Библиотека-Музей имени Акад. Н. Марра Академия наук

„აჯანყებული“ უცოლოები

ფინანსთა მინისტრი ძოგვიანებით დაბრუნდა სახლში, ვინაიდან მთავრობის სხდომა, რომელზედაც მან მოხსენება გააკეთა სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ,—დიდხანს გაგრძელდა. მინისტრი კმაყოფილი იყო და სიხარულს განიცდიდა იმის გამო, რომ მისი წინადადება მიღებული იქნა მთავრობის მიერ სახელმწიფო დეფიციტის დასაფარავ წყაროების შესახებ.

მთავრობის დადგენილების თანახმად ერთერთ საშუალებათ დეფიციტის დასაფარავად მიღებულ იქნა უცოლოებზე გადასახადის შემოღება.

როგორც ზევით იყო თქმული, მინისტრის წინადადება მიღებულ იქნა უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ. ის ერთიც გახლდათ უცოლო მინისტრი, რომელსაც ცოლის თხოვა აზრათაც არ ჰქონია.

ამ შემთხვევის გამო მინისტრის ბინაზე ქეიფი დილამდის არ შეწყვეტილა. სტუმრები ნასიამოვნები დაიშალნენ. გათენებისას ის ლოგინში ჩაწვა და მაშინვე ჩაეძინა:

— ძირს მთავრობის დადგენილება. ძირს, ცოლები. გაუმარჯოს უცოლოებს!—ყვიროდენ ქუჩებში.

— ცოლები კი არა, თავს ძლივს ვირჩენთ. გიჟები ხომ არა ვართ, რომ ცოლები ვითხოვოთ!—გაიძახოდენ უცოლოები, რომლებიც ერთმანეთს მოუწოდებდენ მთავრობის დადგენილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უცოლოების უკმაყოფილება თანდათანობით მატულობდა და საშიშარ სახეს იღებდა.

მინისტრის სახლის გარშემო ქუჩები სავსე იყო აჯანყებულ უცოლოებით, რომლებიც მოითხოვდენ —ან მთავრობის დადგენილების გაუქმებას, ან—და ფინანსთა მინისტრის ეგზეკუციას.

მინისტრი ამ ამბავმა საგონებელში ჩააგდო. აჯანყებულება შეეძლოთ მისთვის რაიმე უსიამოვნება მიეყენებიათ.

— შეუღალბელია უცოლოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ეს იქნებოდა სახელმწიფოს გაკოტრება. ეს იქნებოდა ჩვენი პორტფელის დაკარგვა. მთავრობის დადგენილება ძალაში უნდა დარჩეს—ეუბნებოდა ის ჰოლიციის უფროს ცერგიბელს, რომელიც მის წინ იდგა და მოელოდა მინისტრის განკარგულებას.

— ბატონო ცერგიბელ, აჯანყებულთა წინააღმდეგ უნდა მიიღოთ სასტიკი ზომები. ამას თხოულობს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები!— ბრძანებდა მინისტრი.

— ბრძანება თქვენი შესრულდება, ბატონო მინისტრო! —იყო ცერგიბელის პასუხი.

ძირს ხანმეტ ლევს გაძოელვია. თვალები [illegible] ქიტა და ის იყო უნდა ეკითხა აჯანყებულთა შესახებ, რომ ნაბეჭდი გაზეთები შემოუტანა, რომლებშიაც გამოქვეყნებული იყო მთავრობის სხდომის ანგარიში ბიუჯეტის შესახებ და დადგენილება, რომლის თანახმად გეგმაში სახელმწიფოს დეფიციტი 760 მილიონი მარკა უნდა დაფარულიყო სხვადასხვა წყაროებით და მათ შორის უცოლოებზე გადასახადის შემოღების საშუალებით.

გაზეთებს კითხვის დროს მინისტრს სახეზე სიამოვნება ელანდებოდა.

მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ მთავრობას დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად მიღებული აქვს შესაფერი ზომები.

ყუმბარა.

სასაცილო ცრემლები

წერილი საიქიოს მეგობარისადმი ზოგიერთ მწერლების მიბაძვა

რა გიჭირს, ძმაო, შენ გწყალობს ბედი,
ახლა ნეტარობ მანდ სამოთხეში.
(სიკვდილის შემდეგ ალბად მიხვედი
შენ ამ ქვეყნიდან მანდ სამ-ოთხ დღეში).

ეჰ, ძმაო, ძმაო ჩვენი ქვეყანა
რომ ნახო ეხლა,—ვერ იცნობ შენა.
პეტრეს თავისთვის ალარ აქვს ყანა.
ბინდორში ისმის ტრაქტორის ქშინა.

სოფლად ლრიალებს ჰიდრო-სადგური,
დაგუბულია ტბა და მდინარე.
ძაღლების ყეფას ვეღარ ყეფს ყური..
ეჰ! სადღა არის ხევი მძინარე?

სადღაა კვარი? ან და ურები?
იმათ მაგიერ—ავტო... ელექტრო.
ძირს ჩაღოვყარეთ, ძმაო, ურები,
ბედ. ვსწყევლით—რატომ მოგვესწრო ეს დრო.

ეჰ! ურს არ ესმის ზარების რეკა...
სკოლად აქციეს ყველა საყდრები.
ამიტომ სწყევლის მათ ჩვენი ეკა
და ამბობს მათზე: „გიჟი... წამხდრები“.

სადღაა, ძმაო, ხანჯალ-ლეკური;
თავსახურავი, ლეჩაქ-ბოხოხი?
ეჰ! ცხოვრება გვაქვს, ძმაო, ლეკური
და ალარა გვაქვს განძრევის ხოხი.

ზმუაი.

თქვენ გგონიათ ეს კაცი ცეკვავს?!

(იხ. მე-3 გვერდი).

ვინ არის და ვინ არ არის კაცი

ვისაც არ სწამს, არ უნდა
ინდუსტრიალიზაცია, —
აბა გვითხრას—ჩვენს დროში
ის რა ჯურის კაცია?!
ვის არ ესმის—რას ნიშნავს
ელექტროფიკაცია,—
ის ჩვენს დროში არ ვარგა
იგი რაღა კაცია?!
რომელსაც ზღაპრად უჩანს
კულტურტექნიზაცია,—
ის კულაკის მცველია
და ის რაღა კაცია?!
ვის არა სწამს ჩვენს სოფლ
ტრაქტორიზაცია. —
(იმის თავში რა შევა?).—
იგი რაღა კაცია?!
ვის მერყეევად გარდაქმნის
მტრების პროვოკაცია. —
იგი კაცად არ ვარგა,
იგი რაღა კაცია?
ვისაც სესხზე დასჭირდა
ჩიჩინი-ნატაცია,
შეიძინა, გაჰყიდა. —
იგი რაღა კაცია?!
ვინც იყიდა სესხების
ბევრი ობლიგაცია
და ინახავს, არ ჰყიდის, —
ის ნამდვილი კაცია!

ისელი



— გაძწმენდმა კომისიამ მოგბსნა, ჩემი რა ბრალია!

მუშკოოპში

— საკვირველია, სპეკულიანტებს ყველგან ავიწროებენ და სდევნიან... ესენი კი მშთლოდ მათთვის კერავენ ტანსაცმელს.

წმენდის კანდიდატი

არ მოსწონს ჩვენი დიქტატურა, ღორბი მუშური,
თეთრ კბილს გვიჩვენებს, ისე გულში აქვს ჩვენი შური.
დღეს კი მას ვხედავთ გამოჭიმულს აპარატშია,
გამფლანგველია, ჩვენი ფული მიაქვს კარტშია.
დაწინაურებულ ვერ ეწყობა, ინტრიგას უწყობს;
ის მუშათა ღა ჩვენს დარგში ვერას ვააწყობს.
სჩანს... ეაგ...ოპა, აგვირია საქმის დავთარი...
ცეცხლებს ჭყრია შური, გეგონებათ მგელი, აფთარი.
თვითონ კი, აბა, ჩამოვთვალოთ საქმე წარსული:
პროტექციონიზმი, ბაწოვანნი, ზალა სპარსული,
დაუსრულებლად ფოლის ფლანგვა, ცეკვა გაქური,
(არის ნამყოფი ევროპაში; იცის „ბონჟური".
სურს რომ იმალოს მუშის ქურქში, როგორც შელია, —
მაგრამ წმენდის დროს ვერ უშველის ინა გრძელია.

მუშა ფეიქარი

5-ს მირჩევნია 4.

ადამიანის ფსიხიკა ისეა შეჩვეული რიცხვებს და ციფრებს, რომ ორი რიცხვიდან ერთის არჩევა მას არასოდეს არ გაუჭირდება.

ერთს ორი სჯობია, ორს კიდევ —სამი და ასე დაუსრულებლივ, როცა საქმე ლამაზი ცოლის ყოლას ეხება. მაგრამ კუბო რა არის, უბრალო სიკვდილის საზარელი ნიშანი და მაუწყებელი, ამ შემთხვევაშიაც, თუ კუბო „მუქთია“, ადამიანის ხარბი გული იმასაც კი ორს ირჩევს ერთის წინააღმდეგ, სამს — ორის წინააღმდეგ და ასე დაუსრულებლივ.

მაგრამ აი, გამოჩნდა ხალხი, რომელიც აღიარებს, რომ ხუთს ოთხი სჯობიაო.

მართალია, მოქიშპე და მოწინააღმდეგე ამ დებულებასაც ისევე ჰყავს, როგორც ორჯერ ორის ოთხობას, ანუ კიდევ, როგორც ყოველ ჩინელ გენერალს, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება და ოთხის რჩეობაც ხუთის წინააღმდეგ ისეთივე ფაქტია, როგორც ფაქტია ის, რომ ჩინელი რევოლიუციონერები საბჭოთა წყობილებას არჩევენ როგორც ყოველი ჩინელი გენერლის დიქტატურას, ისე ყოველი მოძალადე კაპიტალისტური სახელმწიფოს ავეკუნობას და ჩიჭმებიჲ ბაკუნსაც თავის საშობლო ქვეყნის ტერიტორიაზე.

მე მოგახსენებთ საბჭოთა ქვეყნების ინდუსტრიალიზაციისათვის დანიშნულ დროს, ანუ ვადის შესახებ.

როგორც უწყით, ინდუსტრიალიზაციის პირველი დიადი გეგმის შესასრულებელ ვადათ ხუთი წელიწადი იყო პირველად განკუთვნილი. .

საბჭოთა პროლეტარიატმა წამოაყენა ხუთი წლის გეგმით განზრახულ სამუშაოთა მთელი ასი პროცენტით ოთხი წლის განმავლობაში შესრულება, ესე იგი **ხუთს არჩია ოთხი.**

დააკვირდებით ამ გარემოებას და ასე გგონიათ, რომ, სიხარბისა და გადაჭარბების ნაცვლად, აქ საქმე გაქვთ ერთგვარ დათმობასთან და უკან დახევასთან. ამავე დროს კი ეს არა თუ არავითარი დათმობა, ან უკან დახევა და ერთით ნაკლებით დაჯერება არ არის, არამედ გაუგონარი ნდობა და სურვილი უფრო მეტის, უფრო დიდი მიღწევების და სიჩქარის გაღვივება წინსვლაში, რასაც მხოლოდ პროლეტარიატი აიტანს და შესძლებს

ცნობილია, რომ პროლეტარიატის მიერ ამა თუ იმ საკითხის დასმა ნიშნავს უკვე მის გადაჭრას. კლასი, რომელიც სიტყვის საქმედ ქცევას გარანტიას წარმოადგენს, არის მხოლოდ პროლეტარიატი. ჯერ არ მომხდარა ისტორიაში პრეცენდენცი, როცა პროლეტარიატს ეთქვას და ვერ შეესრულებინოს.

აიღეთ ათას ცხრას ხუთში პროლეტარიატის მიერ ჯერ მარტო ტფილისსა და საქართველოში ყველასაგან ცნობილი სიმღერა:

„იქნება, რა იქნება?
ძირს ნიკოლოზ, მაღლა მუშა
უეჭველად იქნება!“.

იქნა თუ არა?

ან კიდევ:

„ძირს ომი! მიწები — გლეხებს, ფაბრიკა - ქარხნები— ქალაქის პროლეტარიატს!“.

იქნება არც ეს ქნილა?!.

მაშ, ასევე არ შეიძლება „ხუთწლედის“ ოთხ წელიწადში შესრულებაც!... დიახ, ეს ასე სწამდეს, ვისაც უნდა, ხოლო მე კიდევ, პროლეტარიატთან ერთად, ამ სოციალისტური გარდაქმნის გრანდიოზულ საქმეში, პირველი ხუთი წლით გათვალისწინებული დიადი გეგმის შესრულების საქმეში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, მირჩევნია ხუთ წელიწადს ოთხი წელიწადი, ხოლო ინდუსტრიალიზაციის სესხისათვის კი მირჩევნია გავიღო მთელი თვის ჯამაგირი, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მხოლოდ ნახევარი თვის ჯამაგირს ძლივს იმეტებს ამ დიადი მიზნისათვის.

ჰაზირა.

თანამგზავრი

— შენ თუ იცი, რატომ არის ის კაცი მოწყენილი?
— არ ვიცი.
— იმიტომ არის, რომ საფული დაეკარგა.
— რა იცი დაეკარგა?
— აგერ მაქვს ჯიბეში!

გ ე მ ი დ ა ნ ა ვ ი

(იგავისებური)

გემს რას დააკლებს ტალღათა სრბოლა!
გადაუხდია მას ბევრი ბრძოლა,
ეხლაც მიარღვევს ტალღებს და ზვირთებს,
სამშვიდობოზე გაიტანს ტვირთებს.

ზღვაზე დაჭროლა უცებ ნიავმა
და ხმაურობა ასტეხა ნავმა.

მისი მენავე, რომ ახდენს ზაურს,
შველას ჰპირდება გემის მეზღვაურს:
—მოგეშველებით მარჯვნივ და მარცხნივ,
თორემ მოგელის სასტიკი მარცხი!—

გემის მეზღვაურს ეცინებოდა
და ტალღების მთებს ეცილებოდა.

წინ მიდიოდა გემი მედგარი...
ნავების ფიცრებს აბნევდა ქარი.

რინ-ტინ-ტინ.



ნეერდა რეპინის გზაზე



მუშა: სად მიგაქვს ეგ ნაგავი ტარტაროზო?
— „ზაკულიტში". სახაპნე ქონათ გამოდგება, რალა!

გლეხობის „განმანათლებელი"

(ახალქალაქი)

ალბად არ გაგიგონიათ
ჯერ სოფელი ანთა,
სიმონმა ინანიშვილმა
აქ დაბერტყა კალთა,
„განმანათლებელი" დროშა
უბალხოთ ალმართა.
ალმასკომში მიიტანა
გოდორი და ჩანთა,
წიგნები და რვეულები
უხვად გამოართვა,
წერა-კითხვას ვასწავლიო
მიბას, თედოს, მართას,
მაგრამ დაბეთ: ლიკსკოლაში
არავის ასწავლა
და სამი თვის ჯამაგირი
ხელში იგდო დაეღალა:
წიგნები და რვეულები
ვიღაცებს მიჰყიდა,
ფული თითონ მოიხმარა,
კუჭი დაიძღვიდა.
ბაგრამ დაბეთ: აქ უეცრივ
დღე დაადგა შავი.
გაიგო, რომ რეევზია
იქნებაო ძწვავი.
წერა-კითხვის მცოდნე ნაცნობთ
მოუყარა თავი,
ხაპა-ხუპით ათქმევინა
რაღაც საკითხავი.
და ამით შინარჩენა
გასაძრობი ტყავი.
გლეხობა კი ისევ ისე
დარჩა უსწავლელი,
ამისათვის, ტარტაროზო
შენს ჩამოსვლას ელის,
რომ დანიშნო რევიზია
სულ მოულოდნელი
და ოკლებლიე მიანიჭო
მას ღირსი სასჯელი. **უჩინარი.**

ვაი ტვინო გაბვრ ეტილო!

კაცს რო ჭკუა არ ექნება, მისი საქმე დაღუპულია.

შარშან ზაფხულში, გეგიხედე, მეუბნება ჩემი ცოლი კესარიე: — არიქა, შე კაცო, დატრიალდი პეტერე, მთავრობას სესხი გამოუშვია და დროით შეიყიდე, იქნება ლატაირამ გაგვიჭრას და ქე გავკეთდეთ ფეხათო.

— რას ამბობ, ქალო? — შეუბღავლე რეჯულზე, — შენ გამოქაჩავ ბებია ქალს რა უთხრა შენი გამოქაჩვიზა! ახლა სალატარიოთ გამიხადე საქმე?

თურმე რას უყვირი, დოუჯერე, რაკბა გირჩიოს.

ავდექი და დიანოსთან გადავედი; ნაღვდილარი კაცია და ჭკუას მასწავლის-თქვა. (ისთე ისწავლა მისმა ვვარმა და ჯილაგმა რავაც მე იმან მასწავლა)

— მამაო, ახალი სესხი არეს გამოცომოლიარა ვქნა. მოვაწერო ხელი თუ არა? — შევეკითხე მას.

— მამა და შვილო, არ დეიღუპო თავი, ხელი არ მოაწერო, თვარა, რომელ ხელითაც მოაწერ, ის ხელი ძირში მოგახმება, თუ გასესხება გინდა, აგერ მომასესხე ნიკოლასო!

გავბრაყვდი და დაუჯერე ნახუცარს.

ისე დოუბრუნდა ყორფელი სატკივარი ჩემს ღვიდლს, რაიაც მე ნიკოლამ ის ფული დამიბრუნა.

დაუწყო ჩხრიკინი კოლექტივს და ინფერად ამოჭრეს პანღური, რომ ღაან არ მოუხედია. ჩემი ფული ვაწერე ყინვაზე და დეიდე თავზე, არც ფულია და არც ნიკოლა.

ჩვენ სოფელში მთავარი მოგება ნიკიფორას შეხვდა, მომიდგა ახლა კესარიე და ტრუბაში მაძვრენს: რა გადაურჩება მის წყევლას. პირდაპირ გავთავდი კაცი. მიჩიოა:ჩვენ, რომ ობლიგაცია გვეყიდა, მოგება კანკრაზ ჩვენ გვერგებოდაო, რას ეტყვი, სად მაქვს ლაპარაკის თავი. მე ყორუმსაომა სხვის სიტყვას ავყიეი და კესარიის სიტყვა რავა არ დეეიჯერე აგერ 9 ბაღანეის პატრონი ქალია. ყორფელი ჩვენი მღვდლის ბრალი ქია, მარა ანასენ მის საქმეს, არც იგია კაი დღეში ნუ გეშინია.

არ ვყოფილვარ კაცი თუ ახლა სესხის სამი ობლიგაცია არ ვიყიდო. ჩემს ილბალზე გამოვიდა სწორედ ეს ახალი სესხი: „ხუთწლედი ოთხ წელში", ახლა ხო გავახარე კესარიას გული და იგია.

ბახჩო.

ანკეტიადა

1.

ატესტატი, როცა იგდო ხელში, სურდა შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში. სანამ მოვიდოდა მეორე წელი, ლოდინში წყდებოდა წელი.

უგამოცდოთ იღებდენ იმათ, ვინაც აქვთ: სტაჟი მუშის, კოლექტივიზაციას ხელს არ უშლის, თუ არის ტეხნიკი სამი წლის (რამეს აკეთებს და არა ზის), მშობლები თუ არ ჰყავდა კულაკი (თითონ თუ არ არის დურაკი), თუ არ არის შავსიელი, ბებია თუ არ ჰყავდა მარჩიელი, თუ არის ჯანმრთელი (მთავარია - ტვინი თუ აქვს ჰთელი- და ასეთები ბევრი საბუთები სამ-სამი ცალი, (უნდა აღინიშნოს სქესი; კაცი თუ ქალი). საერთო-საქართველოში ყოფილხარ თუ არა (აღნიშნე: ქურდი თუ ავარა), აღწერე — რას აკეთებდა ჰაპა, სალარის ფულები ხომ არ ულაპა? ბებიაშენი ბაბუაშენს რატომ უყვარდა? ოჯახში ყავდათ თუ არა კატა? (და თუ ჰყავდათ, რას გავდა? ჭრონდა თუ არა თაგვების ჭირის მადა?). შენ ცოლიანობის ხომ გიყიდია პამადა? სიცოცხლეს, როდის გაუდის ვადა? (ყველაფერი დასწერე ჰრავდა).

რას შობოდი ომის �ოს? ეწეოდი თუ არა ჰაპიროსს, მენშევიკების დროს სიყვარულს ხომ არ უხსნიდი გოგოს? ვისა და როგორს?

2.

დაახლოებით ასეთი ანკეტა უნდა შეევსო ქოჩორა ქოჩორაშვილს, წავიდა უნივერსიტეტში. იქ უთხრეს— განათლების კომისარიატში მიიღებენო, განათლების კომისარიატში უთხრეს — აღმასკომის განყ. განყოფილებაშიო. აღმასკომში უთხრეს — გვერდიდან შედი განყ. განყოფილებაშიო. განყ. განყ-ში კი უთხრეს — ლერმონტოვის ქუჩაზედ მიბრძანდითო სომხურ სასწავლებლის შენობაშიო.

ალბად აქაც რამეს ეტყოდენ, რომ ვინმე დახვედროდა.

პირველ მისვლაზე მისდა საბედნიეროდ არავინ შეხვედრია. მეორე დღეს რომ მივიდა, ხალხს უკვე თავი მოეყარა. ერთ ფანჯარასთან შეეგუფდა ხალხი. შეიკუმშა. გაიპო ორად გამოვარდა ადამიანი ანკეტებით თავპირდალეწილი, სახე შეშლილი, ტანზე ნაკუწ - ნაკუწად ეყარა სამოსის მსგავსად შეკონწილი ხალათი; ცალფეხზე ფეხსაცმელი გასძრობოდა; ცალზე კი — ითონ იძრობდა, რომ გაქცევისას ხელი არ შეშლოდა.

ანკეტიანი ქოჩორას ჯენ წამოვიდა. ქოჩორას ქოჩორი ყალზე აუდგა (შიშით კი არა—სიზარულით).

ალ. გვინჩი.

აღარც კარი, იატაკი,
არც ფანჯარა, ჭერია.

გაზეთები დაფრინავენ,
ვერვის დაუჭერია.

გვიანლა იყო

გადაეკიდა თავისი ცოლი ნიკოს — გავყიდოთ მესამე სესხის ობლიგაციები.

ნიკოს ბევრი აღარ უფიქრია, 100 მანეთის ობლიგაცია გაჰყიდა.

— აპა, რა მექნა! სამჯერ იქნა გათამაშებული და ერთხელაც არაფერი მოჰყოლია. ვიცი აწიც ვერ მოვიგებ! — ამბობდა ნიკო.

ერთ მშვენიერ დღეს (ნიკოსთვის უბედურს) გამოაცხადეს გაზეთში მოგებულ ობლიგაციების ნომრები. შემთხვევით გადაათვალიერა ნიკომ და ფერი დაეკარგა:

— ვაიმე, თავო დაღუპულო! — დაიღრიალა მან. დაჭრილ დათვივით და მეორე ოთახში გაგარდა ცოლთან.

— გამაყიდვინე ობლიგაციები, დაშღუპე კაცი. ჩვენ ობლიგაციას 100 მანეთი მოუგია, ფული შენს ქალობას, შენს ადამიანობას ამხანაგებშიც შეჭარცხვენე და მოსაგებიც დაკარგვინე.

ნიკომ ნახევარი თვის ხელფასის, რაოდენობით მოაწერა ხელი „5 წლედი 4 წლედში“-ს სესხზე და სტაჟვა მისცა თავის თავს — ობლიგაცია არასოდეს გაჰყიდოს.

ნიკო შეასრულებს თავის სტაჟას.

ყალმოხანი.

გამოცანა

ამაღლებისათვის (გურია)

ძტრის წინაშე ქედს იხრიდა
გაფთრებულ ბრძოლის დროში.
მტკიცე ნების არ ყოფილა,
თავს მალავდა ფულუროში.

მაინ შეფიცა ერთგულება,
წაუხდინეს ჭამის ხოში...

და როდესაც გავიმარჯვეთ,
მოაბრუნა მაშინ ქოში.
ბრძოლის მუდამ ეშინოდა
მერყეობდა ვით ლამური...

დღესაც ფიქრობს შეარიგოს
მგელი, ცხვარი, თხა და ტური.
ამაღლების მცხოვრებლებმა
იცის მისი სიგრძე, განი.
მრტ სახელად ჩინში ერქვა:
„უხეირო ინტრიგანი“...

ერთხანს ბათომს მიაშურა,
შეაფარა მუშებს თავი,
თითქოს შრომის გმირი იყოს,
აქბობს: „გამძლრა ზურგზე ტყავი“.
მაგრამ ვიცით რაც ბიჭია,
ბათომში ოაც ივაკაკა...

მუდამ სიმულიანტობდა,
ძლივსლა აუთავდა „კასა“.
მისმა თხოვნამ და მუდარამ
მოაწყინა ყველა როცა,—
ის ბათომმა მოიშორა,
ამაღლებას მოგვალოკა...

ოსმან-ალი.

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

Სამსახურში ნიკოლოზის დროს დავდექი. ნუ გეშინია, მაშინ კავშირი და შრომის ბირჟა არ დამჭირვებია: დავაგირავე მამაჩემის დატოვებული ქამარ-ხანჯალი ათ მანეთში, აღებული ფული ჩავდეი კონვერტში და მი ვართვი „ნაჩალნიკს“, რომელმაც ულვაშებში ჩაიცინა და ასე მითხრა —ხარაშო! ზავტრა პრიხადი და ზაჩისლუ ვ შტატო!

მართლაც მეორე დღეს შტატში ჩამრიცხა და კანდუქტორად გამგზავნა.

ფულის შოვნა უკეთესი ღმერთმა შეარცხვინოს. ნახევარი მატარებელი უბილეთო მგზავრებით აევსეთ. რავარც კი გავცილდით სამშვიდობოს, ჩამოუარეთ ყველას და გამოვართვი ფული.

— ჰო-და, მოდი ახლა და ნუ გეიხსენებ კაცი იმ ნეტარ დროს. შარშან რომ ოცდა ათ ოთახიან სახლზე დამაბანიეს ხელი, იგი სულ უბილეთო მგზავრებში აღებული ფულით მქოდა შეძენილი.

მოდი და იცხოვრე კაცმა ჯამაგირით! მე შენ გეტყვი — უბილეთოს წაიყვან და გამორჩები ორიოდე გროშს! არ ფიქრობ, იმისანა დროს გტაცებენ ხელს.

— ახლა ამ ყველა სიკეთესთან ერთად, გამოსცეს „პრიკაზი“ — თითო კონდუქტორმა ორ ვაგონს უნდა ემსახუროთო. დეებნა თქვენ მტერს დავთარი, ამ „პრიკაზმა“ ჩვენ დაგვიბნია დავთარი. უბილეთოები იცოცხლეთ ახლა ბევრია, მარა არ გინდა მათი დაჭერა? ერთ ვაგონში დეიწყებ ბილეთების გასინჯვას, და რაც უბილეთოებია გავლიენ მეორეში, ე. ი. უპატრონოდ დატოვებულ ვაგონში. ხოლო როცა იმის გასინჯვასაც დეიწყებ, ამასობაში მატარებელი გაჩერდება სადმე სადგურზე, უბილეთოები ჩამოხტებიან და ისევ შევლენ იმ შენ მიერ გასინჯულ ვაგონში.

ამნაირად ამ ახალმა „პრიკაზმა“ კონდუქტორებს ხელფები შეუკრა, ხოლო უბილეთოებს კი აუხსნა.

ამ ახალი „პრიკაზის“ გამომცემი, რომ იწამებდეს ღმერთს და იმ „პრიკაზს“ შეაბრუნებდეს ძველებურად, ე. ი. თითო ვაგონს თითო პატრონს მიუჩენდეს, სალარო შიაც მეტი ფული შიგა და არც ჭორდობას და მით უმეტეს უბილეთო მგზავრობას ექნება ადგილი. სხვა რომ არა იყოს რა, უბილეთოთ მგზავრობის ეშმაკობაში კი ვარ გამოცდილი, სხვაში თუ არაფერში.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘ.

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘ—



ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲘ—„ᲛᲔᲛᲣᲮᲠᲣᲭᲔᲜᲘ:—ᲛᲐᲑᲠᲐᲓ

ᲜᲐᲕᲗᲚᲣᲚᲔᲚ

პირველი. აბა, ბიჭებო! დღეს ჯამაგირს მივიღებთ; არ დაიფანტოთ! ყველანი მწყობრად... შუა ბაზრისაკენ ჩვეულებრივ „დავსველდეთ“ და....

მეორე. წავიდეთ, ყველა ერთად წავიდეთ, მაგრამ...

მესამე. მაგრამ რაღა არის, ვერან!? იმას თუ ფიქრობ, ცოლშვილთან ჯიბე ცარიელები რომ მივალთ, განა ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევაა?!

პირველი. ამხანაგებო, დღეისათვის მაინც საფიქრებელი და სადაო მგონი არა გვექნეს-რა. ალბად, უყოყმანოდ ჩამოასხმენ მაღარიჩს ის მეისრეები, რომლების უდისციპლინობას და სამსახურისადმი დაუდევრობას შედეგად მოჰყვა მატარებლის დამსხვრევა გასული წლის 30 დეკემბერს, მაგრამ ხერხიანად მოიქცენ, თავიანთი დანაშაულება საგურის მორიგეს გადააბრალეს და, ამრიგად, უვნებლად გადარჩენ.

მეორე. ნათქვამია: „ფონი გასავალს დალოცეო“. ეგ მეისრეები გადარჩენ... მხოლოდ დროებით მაგათი საქმიანობა და დანაშაულება უკვე გამოაშკარავდა. დღეს თუ არა, ხვალ მაინც ეგენი აუცილებლივ მიიღებენ ღირსეულ სასჯ...

გამოვიდა და იყიდება
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ
ᲜᲘᲜᲝᲜᲘᲡ
„ᲙᲣᲠᲪᲘᲐᲜᲘ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘᲙᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ „ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘᲙᲐ“-Ს. ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ 30 ᲙᲐᲞ.

ᲝᲠᲘ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ—Გ



...პუხრიუკია მოძრაობის

...გზაზე ჯერ კიდევ ბევრი არიან მავნე ელემენ-
...ლებიც აფერხებენ რკ. გზ. მუშაობას.

გაზეთებიდან.



...მოვუჭიროთ, რომ სულ გავაჩეროთ.

...ი მეისრეები

მესამე. მამა გიცხონდება, მაგას თავი დაანებე! ნუ-ღარ ვაყოვნებთ, წავიდეთ... შუა ბაზარში და...

მეოთხე. ჩემის აზრით კი, უმჯობესი იქნებოდა, იქ—შუა ბაზრის სარდაფ-სასადილოებში დასახარჯავი ფული კინოებსა და კლუბებს - თეატრებში დაგვეხარჯა, წიგნები შეგვეძინა და თავისუფალ დროს წაგვეკითხა, გონება გაგვე...

პირველი: დაიკარგე საცხა, შე ცხვირმოუხოცელო! მე რო ჩემი 7 „პაცანით" თეატრებში სიარულს მივჰყო ხელა, მთელი თვის ჯამაგირი ერთ კვირასაც არ მეყოფა. წიგნები კი რა ოხრად მინდა, როცა ერთ პატარა ოთახში მიბრუნ-მობრუნების დროს გვერდებს ვამტვრევთ ერთმანეთს და გაზეთი „მუშა"-ც ყოველთვის გადაუთვალიერებელი მრჩება.

ყველა ერთად (მიდიან სიმღერით):

წიგნი ჩვენთვის ზედმეტია!
იქით კლუბი, აქით კინო!
შოკოლადის კამფეტია,
გიშერივით შავი ღვინო!

აფროდიტი.

„ტარტაროზი"-ს შემდეგი №
სპეციალური
საზაფხულო-საა-
გარაკო ნომერია

...ინისა და ვაგონების



ტფ.-ბათომამდე

პირველი ზარი. ასი კაცის უკან ვდგევარ რიგში. ფერი ხშირად მეცვლება,—ვაი თუ ბილეთი ვერ ავიღო.

შემომხედა ერთმა ნაცნობმა რკინის გზელმა. დამკრა ბეჭებზე ხელი. გამომართვა ფული და ისე შეაღო მოლარის კარი, თითქოს თავის ოჯახში შედისო.

ორ წუთში ბილეთი მზად იყო.

როგორც იქნა ვაგონში მოვთავსდი. ჩემს გვერდით ისეთი სქელი დედაკაცი იჯდა, რომ ცოცხლად იწვებოდა, ამან ცოტა არ იყოს, მუზაც კი ამიმეტყველა.

— ოი ტფილისო,(ვთქვი გუნებაში) ხან მრისხანე ხარ, ხან ქვეყნის თვალი, რომ არ გაესწრო საცოდავს სახლში უნდა მოგეკლა ეს სქელი ქალი?

შევედი ვაგონის ბუფეტში. მოვითხოვე ცოტა მდაბიო საუზმე. ის რკინის გზელი, რომელმაც ბილეთი ამიღო, გზათ შემოიარა თუ ისე, მომიჯდა გვერდში. ჩემი მაგიდა ცოტა გაფართოვდა. სულის მღელვარება მაშინ ვიგრძენი, როცა ანგარიში წარმომიდგინეს. ჩოთქში წვრილი ფული არ არსებობს. უკვე ორი ჩერვონეცი გამოაძვრინეს ჩემ გახურებულ ჯიბიდან. თუმცა ნერწყვი გამიშრა, მაგრამ ეს მაინც ამოვიოხრე:

კარგო ტფილისო, შენ სჯობნხარ
სოფელს,
შენზე არავის არ ეთქმის ავი.
იქიდან კაცი მთლად ჭამოველი,
აქ კი ულმერთოთ გამაძვრეს ტყავი.

დაღამდა. ჩემი ადგილი მოვძებნე, თვალი მივლულე, მაგრამ ფიქრებში გართულს ძილი არ მომეკარა. ის ქალი ისე ხვრინავდა, როგორც მჭედლის საბერველი.

— ხაშური! — გაისმოდა კონდუქტორის ბოხი ხმა. ხაშურის გაგონებაზე უცბად შევთხზე ლექსი:

კოხტა რამ არის ჩვენი ხაშური,
ის უნდა ყოველ მგზავრს ახარებდეს,
ო, რამდენია აქ დასაწოლი,
რომ ტარტაროზი არ იზარებდეს.

დილის თერთმეტზე სამტრედიაში შევედით. ამოდენა კიტრი და მოხუცებული მგონი არსად იქნება.

ჩემი თანამგზავრი სქელი ქალი, სამტრედიაში დარჩა. (ალბათ ბევრი სურსათი, რომ არის).

ჩვენ რონოდაში ამ ადამიანის გადასვლის შემდეგ ძალიან აგრილდა.

ბათომის სადგურზე ნაცნობი შემომხვდა. ძალიამ კარგად მიმიღო, მაგრამ ვერ გავიგე — თითონ უნდა ეცა პატივი, თუ ჩემგან ელოდენ რამეს.

ძნელოდლი.

მდგომარეობის შემსუბუქება

სოფ. ძიმითი, (გურია)



ასე ძიაძვთ ბლეხებს საცხე ტოგმრეგით საფძვა-ზი ანთიმოზ რუსიძის ზისძვილზე

ანთიმოზ მეზისძვილე:—უმადურები, ტვირთი შეგიმსუბუქეთ და თქვენ კიდევ საყვედურობთ?

რკინის გზის ამბები

„ომი დაიწყო"

ტფილისის საყუდმა დაიწუნა სტალინის სახელობის ქარხნის მიერ გამორკვეული ორთქლმავალი; დაიწუნა და უკანვე დააბრუნა. სტალინელები არ იყვნენ შეჩვეული ასეთ „თავხედობას". დირექტორის მოადგილეს კოტრინს მოახსენეს ეს ამბავი.

— ვინ გაბედა! — ყვიროდა კოტრინი.

— ალბად დემეტრაშვილმა...

— ეს არის ერთმანეთის ხელის შეწყობა? — ცხარობდა კოტრინი. — ჩვენ ხომ საბჭოთა წარმოებები ვართ, ერთმანეთს მხარი უნდა დაუჭიროთ, ხელი შევუწყოთ. დღეს ჩვენ გ[illegible]ეშვით უვარგისი ორთქლმავალი, ხვალ ისინი გამოუშვებენ. დამაცადონ. მე უჩვენებ მათ სეირს. ისინი ჩვენზეა დამოკიდებული, ყოველგვარ მასალას, ორთქლმავალის ნაწილებს ჩვენგან ღებულობენ.

ყველაზე უარესი მოლოდინი გამართლდა. დეპოს მიერ გაგზავნილი კაცი საჭირო ნაწილების წამოსაღებად, უკან უარით გამოისტუმრეს.

— თქვენ იწუნებთ ჩვენს ორთქლმავალს? — უყვიროდა კოტრინი, — ვერ ეღირსებით ჩვენგან მასალებს.

— ორთქლმავალი უვარგისი ყოფ! — დააბრა ლეუავამ სიტყვის შებრუნება, მაგრამ კოტრინმა არ აცალა:

— სულ ერთია, უნდა მიგეღოთ!

მდგომარეობა ქმნის შეგნებას

ორი თვის წინეთ ტფილისის რკინისგზელთა საუბნო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. რაზმაძემ ამტკიცებდა ერთ კრებაზე:

—ადმინისტრაციას სძინავს. პროფორგანოს ახვევს ყველაფერს თავზე.

ცუდათ ყოფნა

— როგორ ხარ?

— ღმერთივით!

— მაშ ვერ ყოფილხარ კარგად.

სოცშეჯიბრების აღრიცხვა უნდა აწარმოოს ადმინისტრაციამ.

ორი თვის შემდეგ ტფილისის რაიონის უფროსი (იგივე ბ. რაზმაძე) ერთ სხდომაზე ამტკიცებდა:

— არ წაიძლება ყველაფრის ადმინისტრაციისაკენ თავზე მოხვევა. სოცშეჯიბრების აღრიცხვა პროფორგანოებს უფრო ეხერხება.

ორთქლმავალი № 219

ორთქლმავალი № 219 დიდის ზეიმით იქნა გამოშვებული სტალინის სახელობის ქარხნიდან.

— ნახეთ ჩვენი მიღწევა. — თვითღირებულების დაწევა და ხარისხის გაუმჯობესება!

მართლაც ორთქლმავალი ლამაზად შედებილი იყო.

— რამდენი დაჯდა ორთქლმავლის შეკეთება? — იკითხა ვიღაც ურწმუნომ.

— 26.000 მანეთი.

ამოდენა თანხა არ სჭირდება კაპიტალურ შეკეთებასაც. აქ კი საშუალო შეკეთებაც არ არის.

გავიდა 3 თვე. რკინის-გზელებს აკვირვებდა ერთი გარემოება, რომ ორთქლმავალი № 219 იდგა ერთ ადგილას. ვინ იცის კიდევ რამდენხანს იქნებოდა გაჩერებული, რომ მუშათა ბრიგადა არ ჩამოსულიყო.

ორთქლმავალი უცბად გაქრა. ეგი ყველავ დააბრუნეს ქარხანაში შესაკეთებლად.

ფანასვალა.

ჩვ. მსუბუქი კავალერიის **ყუმბარა** **თავდასხმა** **რკ. გზაზე**



იორეშჩენკო — კილჩევკის
არის მარჯვენა ხელია;
პროვოკატორი ყოფილი
და გაიძვერა მელია.

— : —



კილჩევსი არის უფროსი
სახანძრო განყოფილების.
შავ გულს ვერ ფარავს იმისას
იმისი „თეთრი“ კბილები.
დენიკინელი ბრძანდება
შავ რეაქციის მსახური;
მუშების სისხლი დალი,
დალია, როგორც კახური.
დღესაც ცხვირსა სწევს ახრანკის
ორდენებით და ჩინებით
და მუშებს მასთან მისულებს
ისტუმრებს ლანძღვა - გინებით

— : —



დასტობით ყავს
სახანძრო რაზმს
ტარტაროზის საკბილონი;
ვინ მოსთვალოს საქმე მათნი
სასახელო, საგმირონი.
ჰა, იმათი თაიგული:
ნონიკინი - ბოქაული.

ვისაც მშრომელთ გასაგმირად
ხმალი ერტყა მოკაული.
მოსკვიჩენკო — ოფიცერი
ნიკოლოზის მოყვარული;
სიზმარში, რომ ნიკოს ხედავს.
ცხადში ხდება მოხარული.
კლიუჩნიკოვს — პოლიციელს
მენდლით ჰქონდა სავსე მხარი;
ყველა იყო კილჩევსკისთან
შენატკბობი, შენაფარი.
ამისათვის სახანძრო რაზმს
არა წმენდა, ხვეტვა უნდა;
ამათთანა საზმუშაკებს—
რკინის ცოცხი, ქვა და გუნდა!

— : —

ვინ ჩააბარა **რეტელსკის**
სამნიო განყოფილება?
ბიუროკრატი. უხეში,
მუდამ ჰყეფს და ილრინება
ხეპრ ა მიუკარები
მრისხანე ალა - ბეგია,
საქმის არ გამ ითებელი,
მცონარე, ნაცარქექია.

— : —

ვასილიევი ბრძანდება
უფროსი საფინგანისა;
ბევრი ცოდვები გამოჩნდა
„ამა უბიწო გვამისა“.
„ჩინოვნიკია“ უბადლო,
სწორს ვამბობთ, არა ჭორია,—
და მუშკორებზე ნადირობს,
როგორც ჩიტებზე ქორია.

გადაზიდვათა ჯგუფში
პოპოვი თანამშრომელი,
პასუხისგებას კითხვაზე
სამ თვეს უნდება რომელი,
უყვარს ლოგინში ზმორება,
აჭიანურებს საქმესა;
მივლინებაში ატარებს
თვეებს და წელიწადებსა.

— : —



საფიიგანის რევიზორი
კანდელაკი — ჩვენი „ძია...
ადგილიდან — ფეხს არა სძრავს,
ეზარება რევიზია.

— : —

წყვის ბაქანს, რომელიც
სადგურ შორაპანის და ძირუ-
ლას შუა მდებარეობს, არ ექ-
ცევა საჭირო ყურადღება.
მგზავრებისათვის არ არის
აგებული თავშესაფარი და
ხშირად ფარანსაც კი არ ან-
თებენ, რომ მემანქანემ მაინც
შეამჩნიოს გასაჩერებელი ად-
გილი.

ათტი.



წევის ბაქანი: (ა.-კ. რკ. გზის მმარ-
თველობას): — **უსინათლო ვარ... და-
ვრდომილი... დაობლებული!.. მომხე-
დე! შემეწიე გაჭირვებულს!..**

ხატისოვი ტფილისში

გემი შავი ზღვის ნაპირებს მოადგა.

მეორე დღეს ხატისოვი, ტფილისის ყოფილი ქალაქის თავი, ტფილისში მეგობრის მოხერხებული ბინაზე იყო. მეოთხე დღეს საღამო ხანს ტანისამოსი გამოიცვალა, პარიკი გაიკეთა და არხეინად გამოძვრა თავის ბინიდან.

ჩვეულებისამებრ, ინსტიქტიურად თავისუფლების მოედნისაკენ გასწია, გაჩერდა ალმასიანის წინ და სიამოვნებით გაიღიმა:

— მადლობა ღმერთს ქალაქის გამგეობა გადარჩენიათ. აი იქ ჩემი კაბინეტი არის. სინათლე მოსჩანს. ალბად იქ მუშა ბოლქვაძე ზის და მუშაობს. მახლას დროებაც.—ჩაილაპარაკა მან და უკან მოიხედა, ყოფილ თამამშევის ქარვასლას თვალი მოავლო.

— ესეც ისევ ისე სდგას. მხოლოდ შეულამაზებიათ. საბრალო თამამშევებო, ვინ იცის რა დღეში ხართ?—ნაღვლიანად ჩაილაპარაკა, მწარედ ამოიკვნესა, ცოტა ხანს იქვე იყო გარინ[illegible]ლი და შემდეგ დაჰყვა სიონისკენ.

— ეს კი საუცხოოა, მშვენიერებაა,—ჩაილაპარაკა მან, როცა წინანდელ ვიწრო [illegible] ფართე ქუჩებს და ტრამვაის ხაზს მოავლო თვალი.—მახსოვს ფუნიკულიორზე ტრამვაის ხაზი უნდა მიგვეყვანა, გზაზე წამოჩხირული იყო ვიღაცის პატარა სახლი. რამდენიმე წელიწადი ევაჭრა გამგეობამ, მაგრამ ვერ შეთანხმდენ და დარჩა გზა გაუყვანელი. მოვიდნენ კომუნისტები ამოჰკრეს ჰიტლაყი და ხელად მიიყვანეს გზა.

სიონამდე ჩავიდა და გაოცებული დარჩა, როდესაც ყველა დიდრონ სახლებში დაზგებს ხედავდა და გაცხარებული მუშაობა იყო. მთელი ეს კუთხე სამრეწველო რაიონად გადაქცეულიყო.

ხატისოვი უკან გამობრუნდა და კუკიის ხიდისკენ წავიდა. გავიდა ხიდს და უცბად ჩაფიქრდა, გაჩერდა, თვალები, გაუშტერდა. რაღაც ახსოვდა და ვერ მოეგონებია, დიდხანს იყო ჩაფიქრებული. ბოლოს შუბლზე ხელი იტკიცა და იქვე ჩამოჯდა ქვაზე.

— ვაიმე, ჩემო ვორონცოვო, სადა მყავს შენი თავი. ვინ იცის ეხლა სად და რომელ მხარეს ხარ, ან იქნება უკვე კიდეც გადაგადნეს. თავი ჩაღუნა და ობოლი ცრემლები ჩამოჰყარა. კარგა ხანს იჯდა მდუმარე. მერე წამოდგა, წელში გასწორდა და ჩაილაპარაკა:

— ერთი გულიანად ძველებურათ ვერის ბაღებში „ედემში“ და „ფანტაზიაში“ ვიქეიფო და მერე გზას დავადგები ისევ პარიზისაკენ.

ის შეუმჩნევლად მივიდა ლენინის ქუჩამდე. აქ ჩამოხტა და ნელის ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას. თან ყველაფერს ათვალიერებდა. მდინარე ვერასთან რომ მივიდა, გაოცდა; ბოზარეჯიანცის ფაბრიკა ერთი ორად გაზრდილიყო; რამდენიმე ახალი უზარმაზარი შენობა აეშენებიათ. მივიდა ახლოს და სარკმელში შეიჭვრიტა. გაოცდა—პაპიროსების მაგიერ ქალი და კაცი აბრეშუმს ქსოვდა. თამამაქოს ფაბრიკას თქვენი ჭირი წაეღო და მის მაგიერ აბრეშუმის საქსოვი ქარხანა იყო გაჩაღებული. ისეთი ამოიკვნესა ალექსანდრემ, რომ გული კინაღამ თან ამოაყოლა.

უკან არ მოუხედნია ისე გასწია წინ და „ედემი“-ს ბაღის კარებს მიადგა. იქიდან მაიმუნმა შემოსცინა. ალექსანდრემ ზევით აიხედა და დიდი ასოებით აბრაზე წაიკითხა „ზოოპარკი“.

მიხვდა რაშიაც იყო საქმე, ხმა არ ამოუღია, ისე გამობრუნდა ვერის დაღმართზე. ცოტა ხანს დადგა, თვალებს არ უჯერებდა: აქეთ ბაღი, იქით ბაღი, შუაში დიდი ფართე ქუჩა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ის როგორღაც დიდუბეში გაჩნდა და მაუდის ქარხნის წინ იდგა. დიდხანს იყო გაჩერებული და დაზგების ხმაურობას ყურს უგდებდა. ამ დროს მას თავს წაადგა ორი[illegible]ლულიერიანი საგანგებო რაზმელი.

ხატისოვმა გაქცევა დააპირა, მაგრამ გავარდა რევოლვერი და...

ხატისოვს გამოეღვიძა.

— მადლობა ღმერთს, რომ სიზმარი ყოფილა.—ჩაილაპარიკა და წამოდგა.

დილით, როცა საბჭოთა გაზეთები წაიკითხა (ასეთებს ღებულობენ იქ), დარწმუნდა, რომ რაც სიზმარში ნახა, გარდა თავისი დატყვევებისა, ყ[illegible]ერი მართალი იყო.

მახათი.

აჭარის-წყალი

ჯერ არც კი ახსოვთ გრიშას და ნესტორს
რომ ჩაედინოს რამე ავია,
მხოლოდ წელს (ალბად ისიც შემთხვევით)
შემოაჭამა ფულმა თავია,
მაგრამ რა მოხდა? ნაცვლად იმისა
გამსახლში ჯდომის ღირსია ორივ—
გრიშამ სასჯელსა თავი იძვრინა
და დააჯინა მარტო ნესტორი.
ეხლა ნესტორი გულმოსულია,
(ვერც გადაიტანს ამ გულის მოსვლას).
თუ გვერდში გრიშაც არ მიუჯდინეს,
ისიც აპირებს გ[illegible]დ გამოსვლას.

მარტისა.

დეპეშები

„გადასახადის შეგროვება“

სოფ. ახალ-ყაჩაგათი (რაჭა). დილით სასამართლოში საქმის დაწყებამდე ორივე მოპირდაპირე მხარეებმა, რომლებიც ერთმანეთს ეწრისათვის ებრძვიან, ვექილს ჩააბარეს სოფლად შეგროვილი: რამდენიმე ფუთი სურსათ-სანოვაგე, შინაური ფრინველები და 600 მანეთი.

ვექილი ამბობს:—სამოთხე აქ ყოფილა და რაღად „ვიწვამო ღმერთი“ ამათ გულისათვის, რომ ნაკლები გადავახდევინო ჩემი გასამჯელო. მე რა მენაღვლება—ან ერთი მხარე წააგებს, ან მეორე.

(ევპე)

ახია მათზე!

ნატანები. ადგილობრივ კლუბის დაუმსახურებელ (არის ასეთი ტიტულიც) მსახიობებს შორის მოხდა ჩხუბი. ვინაიდან გარეშეებს ეს ამბავი რეპეტიცია ეგონათ, არავინ მიშველებია გასაშველებლად. გატყდა ცხრა თავი, რომლებშიაც თითო კილო თივის მეტი არაფერი აღმოჩნდა

(შმაილა).

სისწრაფის ახალი რეკორდი

წალენჯიხა. ფოსტის გამგე ილარიონმა და თანამშრომელმა ქალმა ნადიამ დაამყარეს დეპეშის სისწრაფის ახალი მსოფლიო რეკორდი: ტფილისიდან ორშაბათს გაგზავნილ დეპეშას მოაგარაკე წალენჯიხაში ღებულობს სწორედ, ე. ი. მეორე ორშაბათს, როცა დეპეშის გამომგზავნი შაბათ-კვირაზე ჩამოსული ქმარი უკან ბრუნდება ტფილისში.

(ერლი-ან).

„მასაჟი“

ჭიათურა. ექიმი სანიკიძე სადგურის უკან ღებულობს მსურველებს და უკეთებს მასაჟს გვერდებისა და ცხვირ-პირისას. ვინაიდან მსურველი არავინ აღმოჩნდა, მოქალაქეებს ძალით უხირდება და სცემს.

(ნივიგო).

ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ

სამტრედია: „ეპოს“ თავმჯდომარემ უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით ჯერ-ჯერობით თავისიანებიდან მესამე მაღაზიაში მიიღო მხოლოდ მამა და შვილი.

(გვაჯა).

მოთხოვნილება ჭურჭლეულობაზე

ოზურგეთი. ვინაიდან მ[illegible]ხურთა [illegible] მოსადილეთ[illegible] შორის ხშირად იმართება ჩხუბი და ამის გამო იმტვრევა ჭურჭლეულობა, ეპოს წითელი სასადილო განიცდის ჭურჭლეულობის კრიზის. გამგეობას განზრახვა აქვს სასადილოში შემოიღოს ხის ჯამები, რომლებიც გაუძლებენ ყოველგვარ უსიამოვნებას, როგორიც არის გატეხა.

ალბად სიცხის ბრალია

ნატანები. ეპოს სასადილოში ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით იყიდება ღვინო ნარევი წყალი (არ შეგცდეთ, წყალნარევი ღვინო). მიუხედავად ამისა შიგ ყველა მთვრალია, რაზედაც გამგე თავს ასე იმართლებს:
— ალბად სიცხის ბრალია, თორემ წყალს როდის ჰქონდა ალკოგოლიო!

(ლუკმა).

ჯ ა ბ ა

(სოფ. ობჩა, ქუთ. ოლქი)

ერთ დღეს ობჩას მასწავლებლად მოეფლინა ჯაბა მესხი, ომი ხოლო ჩაგალიფ-ჩაზიანკიბული.

ჰო-და იუკადრისა ჯაბამ ოთხწლედის მასწავლებლობა და გადასწყვიტა შვიდწლედის გამგეთ ვამხდარიყო.

— სირცხვილი არ არის, მე, ღმერთივით ბიჭი, უბრალო მასწავლებლად ვიყო, ხოლო შალვა მაჩიტიძე კი შვიდწლედის გამგეთ! მერე რაა, რომ უმაღლესი ცოდნა აქვს და საქმესაც გულმოდგინეთ ეკიდება?—გაიფიქრა მან და შეუდგა საქმის ვაჩარხვას.

თავდაპირველად თავი მოუყარა გამგეს-ადმ. მტრულად განწყობილ „მასეებს“—.— მიოდე მასწავლებელს: შალვას, სალომესა და ნინას?

„შეთქმულების“ ერთ-ერთ კრებაზე ჯაბამ წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

— ამხანაგებო და მასწავლებლებო; თქვენს წინაშე სდგას თქვენი თანამებრძოლი და უტვინიერესი პედაგოგი, რომლის იშვიათ „ნიჭებს“, უდიერად ახშობდა ოთხწლედის ვიწრო კედლები. „მიკეს კეისარსა კეისრისა“,—ვამბობ ამას ჩემს თავზე. მომეცით მე გამგეობა შვიდწლედისა და თქვენც სამაგიეროთ გაგაბედნიერებთ ჩემი მზრუნველობით, უწინარეს ყოვლისა, თქვენც მოგაშორებთ ოთხწლედებს და გადმოგიყვანთ ჩემდამი რწმენებულ“ სკოლაში.

— გაუმარჯოს ჩვენ ძმა ჯაბას, ვაუკაცსა და არა ჯაბანს.— შესძახეს ერთხმად დამსწრეებმა და მეორე დღეს, რაღაც მანქანებით ჯაბა მართლაც ჩასვეს გამგის სავარძელში, ხოლო შალვა მაჩიტიძე „კუდამოძუებული“ გაისტუმრეს ქუთაისს.

სწორედ იმ ღამის, მართლაც და ობჩის საუბედურო, დაიწია ჯაბას ახალი რეზიდენცია—ჩვენი სიამაყე შვიდწლედი. ხოლო მეორე დღეს მოვიდა ისევ ძველი გამგე განათ. განყოფილების განკარგულებით, რათა ჯაბა დაუყოვნებლივ გადამდგარიყო „ტახტიდან“.

„დამსახურებულმა“ გამგემ (ჯაბამ დღენახევრის „ბრძანებლობის“ შემდეგ დასთმო ტახტი ისევ შაოვას სასარგებლოთ, ხოლო. კეტისა და ძეხვის არაკის არ იყოს, გულის „მოსაფხანათ“ სთქვა:—არ დამშვენებულ შვიდწლედი, მაშინ კი ღირდა მისი გამგეობა, ახლა კი მაინც და მაინც აღარც კი მანტერესებსო! მოძველებული“.

ნ ა ტ უ რ ი ზ ა ნ

ანაგის აფთიაქის გამგე ბუღდანა თითქმის ყოველდღე მთვრალია. მსუბ. კავ.

ბუღდანა რომ მთვრალია, ამ „რეცეპტის ბრალია.

ინ ტ ე რ ნ ა ტ ი

სად ძალიკელს ვერ ნახავ ლანდათ,
სადაც სმყრალე ბატონებს გზაზე,
სადაც ძლიერი ბულიგანთ ბანდა
საღამოობით თავს ესხმის მგზავრებს,
სად მძარცველებს, მძაფრი თრეში
ადამიანებს სიკვდილს უქადის,
იქ ინტერნატთ გადაიკეთეს
ჩოფურაშვილის ძველი დუქანი.
როს ორთაქალის გარემოს ნაბდავს
ჩვეულებრივად ღამის ბინდ-ბუნდი,
გაუძლებს მხოლოდ საშინელ ამბებს
ადამიანი ფოლადის გულით...
„გაალე ჩოფურ, გააღე კარი,
ქალებში უნდა ვითიოთ ღამე“..
ლოთებს ჰგონიათ ისევ ჩოფურა
ხშირად ინტერნატს უმტვრევენ კარებს.

ქოროღლი.

ზ ე ს ტ ა ფ ო ნ ი

ტარტაროზო, წერილსა გწერ;
ცოდვილ ხალხის გიყვარს ქონი.
ჩამოდი და შენი ჩანგლით
ინახულე ზესტაფონი.
აქ აბანოს ვერ იპოვი,
სიბინძურით გვხდება სული;
ალმასკომს კი არ სცალია,
„საქმით“ არის დატვირთული.
კულტურულ რევოლიუციის
გატარების აქვს ხოშია;
აბანო კი ამ საქმეში
მისთვის ალბად „როსკოშია“.
სანიტკომის მუშაობას
არ ედება, ვხედავთ, წუნი;
ბაზარში თუ აიარე
გაგაგიჟებთ „დუხის“ სუნი.
მართლა „დუხი“ არ გეგონოთ:
კლოზეტია ცენტრში მდგარი,
ტარტაროზო, მოდი, ცოდვილთ
შენი ეშვი ამოკარი.

თრითინა.

ჭ ი ა თ უ რ ა

უგრძნობლად დათრობა, დებოშის მოხდენა,
არ არის ლამაზი, კანონი ჰვმობს.
თუ არ ხარ ექიმი, ან და სხვა აქტივი,
საკანსა გაჩვენებს, არ დაგითმობს.
ეხლახან ქეიფი გამართა საშიკომ.
ესტუმრა ექიმთა სწავლული წრე.
დათვრენ და დალეწეს ჭიქა და საინი,
მშველელი ვეძებე და ვინატრე.
დამკვრელებს შორის, რომ სახელი გაითქვა,
ეს არის ვაშაძე, სად არის დღეს?
მეურმეთ კავშირში მოიდგა მან ფეხი
და ფიქრობს: — სად დათვრეს, სად გამოძღეს.
გულშინ წინ სადგურში გაარტყა კაშიას,
აქ მუშებს აგინებს დედას და ცოლს,
სულყველას აშინებს მაუზრის ტრიალით,
ამიტომ ვერ ამბობს ვერავინ სწორს.
რკინის გზის „ჩეკისტმა“ ეს ფაქტი იყურა
და უთხრა კაშიას:—მოშორდი ძმავ;
ხომ იცი ვინც არის, სჯობია გაჩერდე.
თავს შენი გულისთვის ვერ მოვიკლავ!
კომკავშირს თავისი ხაზით ჰყავს დამკვრელი,
ჩხეტიან გრიგოლზე ცოტა რამ ვსთქვათ,
ჩვენ ერთი გმირობის სურათი ავიღოთ,
იცოდეთ ასეთი ბევრია სხვაც.
24 ივნისსა უგრძნობლად დამთვრალი
შევარდა დუქანში და კლავდა კაცს.
ლუარსაბს რომ არა, ნაგანით მოჰკლავდა,
ჩეფერიდ გიორგის და კიდევ სხვას.
გიორგი შიშისგან ლოგინათ ჩავარდა,
გრიშა კვლავ იძახის: „ დავლიოთ, სვით,
ასეთი უღირსი წევრების შესახებ,
კომკავშირელებო, თქვენ რამე სთქვით.

— : —

ტარტაროზს არ უყვარს ხათრი და სიჩუმე,
ის გეტყვის ამაზე ძალიან ბევრს;
თუ როგორ მოვეჭკეთ ლოთებს და ავარებს—
კერძოთ მიშველიძეს ჰარტიის წევრს.

დაზღვეული.



— ოო! რის ფული! რა ფული! შენ არ იცი, რომ ჩვენ ფულსა ვსპობთ?.. აი შენი ფული! — და „პარტალოდ“ გ უტყლაშუნა გამოძიებელმა შურლაიამ წითელ სასადილოს გამგე ლიმონას. შემდეგ მიუბარდა იქ მჯდომ მოსადილეებს, ასწია მაგიდა და დასცა ძირს.

— როგორ გაბედეთ ასეთი შეურაცყოფა ეს თქვენ გინვენებთ სპორს. ციხეში ამოგალპობთ. მზეს არ დაგანახებთ!

დიდი ბრძოლის შემდეგ იგი გამოიყვანეს სასადილოდან.

მეორე დღეს გამოფხიზლდა შურლაია. მოაგონდა გუშინდელი ამბავი. საჩქაროდ დგება ლოგინიდან და გარბის სასადილოში ლიმონასთან.

— შენ გენაცვალე, არსად არაფერი წამოგცდეს. არ მიჩივლო, არ დამღუპო კაცი. სამაგიეროდ პატივისკემა ჩემზე იყოს! — შეევედრა ლიმონას „პატივცემული გამომძიებელი“.

საქმე მართლაც მიყუნდა.

ნთვრალი შურლაია დასეირნობს ქუჩაში

სწყურია ღვინო.

გაგიგებს, რომ ლაგოდეხში ვასო ციქაძესს დაპატიჟებული არიან ლაგოდეხის აფთიაქისა და სოფ. ბაისუბანის აფთიაქის გამგეები.

მყისვე იქვე გაჩნდება. სახლის პატრონი მიქაძე ძალაუნებურად ძიპატიჟებს.

უცბად, ყოველ მიზეზს გარეშე წამოვარდება შურლაია მაგიდიდან, დასცემს ჭიქას იატაკზე და ლანძღავს მასპინძელს. ამშფიდებდენ მას, მაგრამ, ჰოი უბედურებავ! ვინ გაბედა ლომ-გულის დაწყნარება... უეცრივ წამოვარდება, სტაცებს ხელს კინაში ვასო მიქაძეს, დასცემს ძირს და შესდგება წიხლით.

შურლაია მიჰყავთ სახლში. ქუჩაში გამვლელნი უყურებენ. გამომძიებელი მათ აგინებს უწმაწური სიტყვებით.

— ვინ არის?

— სადაური?—კითხულობენ გლეხები.

— „სუდიაა“ — გაიძახის ერთი.

— სუდია“ კი არა „პროკლოვია“ — იძახის მეორე.

— „სუდის“ კაცი კია და არ ვიცი.

— „პროკლოვი“ კი არა „ატვაკანტია“ — გაიძახის მესამე.

ძეორე დღეს იმავე ხერხით შურლაია მიუდგა ვასო მიქაძეს და სთხოვა, არ გაემყღანებინა გუშინდელი ამბავი.

—:—

გამომძიებელ შურლაიას ჰყავს მოთავსებული გამასახლში პატიმრები მცხ. სოფ. კაბლისა, კული-ხამბათოღლი 24 აპრილიდან, კალაღვი კოლა — 27 მარტიდან, ძმები ხუბაშვილები ვასო და საშა — 8 მაისიდან. ბარნაბიშვილი სტეფანე — 30 მარტიდან და ვასო ომსარაშვილი—8 მაისიდან. ესენი ჯერეც დაუკითხავნი კლოდებიან თავიანთ ბედ-იღბალს.

—:—

შურლაიას მიერ დაპატიმრებულ გლეხ ყაჯრიშვილის ნათესავებმა სამი დღე-ღამე იარეს პატიმრის სანახავად ნებართვის ასაღებათ და იმდენივე უცადეს წითელ სასადილოს კარებებზე, მაგრამ სასადილოში მოქეიფე შურლაიას ვინ გაუბედავდა ასეთ დროს დალაპარაკებას.

გამომძიებელი შურლაია იბარებს გლეხებს. გლეხები მოდიან, სალამომდე ელოდებიან შურლაიას. გამომძიებელიც [illegible] ბრუნდება სახლში მოსასვენებლად.

—:—

ძღვენს ვინც მოუტანს, მათი საქმე სულ მოკლე ხანში მოგვარდება. ეკვარს სიამოვნება ნათლი-მამობა, მოფერება, თუ ვინმე უხეშმა კანონის ფარგლებში რამე მოსთხოვა. გაჰქელავს, წალეკავს და მუშტებს მოამზადებს. თქვენ მასწავლით კანონებს?

შურლაიას ბრალდებოდა თელავის რაიონიდან ქალის ბატაცება და სხვა მრავალი ბოროტმოქმედებები. დღეს გამოდის იმავე ხალხში საბჭოთა კანონმდებლობის ბამტარებლად.

კორი.

ქუთაისის ამბები

პურის ფქვილი.

ბოროტი ენები ამბობენ, ვითომ არტემ ტაბიძე, როგორც მლიქვნელი, ლაჭუკა, მელა კუდა, პროტექციით დააწინაურეს „ეპო“-ს გამგეობის თავმჯდომარეთ შუხიანშიო.

ჩვენ კი კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ეს ასე არაა.

არტემ ტაბიძეს ეგბარა ქუთაისის მუშკოოპის შავი და თეთრი პურის ფქვილების ცენტრალური საწყობი. მან ადრე გაითვალისწინა, რომ თეთრი პურის „ფეშენებელობას“ შეუძლია გაუკითოს კარიერა. ამიტომ თითო ცალი (ტომარი) თეთრი ფქვილი მიუტანა ოჯახში ბ. ქუთათელაძეს, ა. ქუთათელაძეს, ბ. ეძგვერაძეს, კაკაბაძეს, ლობჟანიძეს და სხვებს.

ამრიგად არტემ ტაბიძეს კარიერა პურის ფქვილმა შექმნა და არა პროტექციამ.

საპატიო მიზეზი

უკუშევლობასთან მებრძოლ კოლექტივის სასადილოში გამეფებულია უსუფთაობა. ქუთაისის მოქალაქენი ფიქრობდენ, რომ უსუფთაობა გამოწვეულია სასადილოს შტატისა და უმთავრესად კი გამგის დაუდევრობით, მაგრამ სასადილოს გამგემ შემდეგი ახსნა-განმარტებანი მოგვცა:

— ბორშში მატლი კომბოსტოდან ჩავარდება; კერძში საქონლის გაუწმენდელი შიგნეულის აღმოჩენა გამოწვეულია სასადილოს სხვა ბინაზე გადატანით, ხარჩოში ბუზები ცვივა სამზარეულოდან თქვენს მაგიდაზე მოტანის დროსო.

ღვინით გალეშილ ადამიანზე მიუთითე, გიპასუხებს:

— ალბად ღვინომ დაათრო!

ასეთია კოლექტივის სასადილო დღეს, ასეთი იყო იგი წინეთაც, მხოლოდ ასეთი არ უნდა იყოს ის მომავალში მაინც.

ხლისტი.

ასწია პუტემ და...

(კულაში)

ასწია, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამ ჩვენმა კოტემ და ზე კაკალ კულაშის აგროტეხნიკუმში სტაჟეცა თავი გამგეთ! ის 35 ჭეკტარი მამული, სახელათ მართალია ტეხნიკუმისაა, მაგრამ სახრავათ კოტემ მოიმასქა...

ასწიეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, გლეხებმა და გახდენ უკმაყოფილო, მაგრამ გლეხებს ვინ კითხავს, მთავარი ყოფილი თავადი მილელაძეებია და კოტე მათთან ქვა გვარიან განწყობილებაში. ყოველ შემთხვევაში, არც ერთი ქეიფის დროს მათთან ჩხუბი არ მოსელია.

ასწია, ბატონო, ამ ჩვენმა კოტემ და შეჭნ ინტრიგა მასწავლებლებში, აუხირდა ტეხპერსონალს, არ დაიზღვია ხელზე მოსამსახურე და არც კავშირში ჩასწერა, ცოლი სამკითხველოს გამგეთ დანიშნა, მერე სკოლაში აგრონომისთვის წარმოეული გაკვეთილები მ'ცა, (სხვათა შორის, ქალი დიდი ღვთის მორწმუნე ადამიანია, თითონ მოწაფეებმა უყურეს, რომ ეკლესიაში წუთში 25-ჯერ იწერდა პირჯვარს. თითონაც გაკვეთილები მოიმატა, მოწაფეების მიღების დროს კლასობრივ მიდგომას განზე უდგება და სხვაც ბევრი.

ასწიეს, ბატონო, და უჩივლეს კოტეს, მაგრამ საქმის გამომრკვევ კომისიაში მისი მეგობარი კორია აღმოჩნდა (სამტრედიის 7 წლედის გამგეა) და გამართლეს.

ახლა კიდევ უჩივლეს მაგრამ...

ასწია ამ ჩვენმა კოტემ და... ჯერ ქვ ცხოვრობს გვარიანად... ჩაგიოსული.

ახალ მთვარეზე

სოფ. გოგრდის ფოსტა

— რას ელოდები აქ?

— ვერა ხედავ, ახალი მთვარე გამოჩნდა... ალბად გამგე წერილებს დარიგებს!

წერილი ტიხონს

(ხუფსა-ლანჩხუთი)

სალამი და კარგათ ყოფნა ჩემს ძმას ტიხონს.

ბიჭო, შენ მართლა იგი ტიხო მასხულა ხარ, აქ სუფსაში საკრედიტო ამხანაგობაში რომ მუშაობდი? ეხლა კი მივხდი, თუ როგორ უდანაშაულოთ გადაგდებენ კაცს თურმე.

გახსოვს, ტიხო ძმიკო,—აპარატის გამწმენდ კომისიამ რომ გამოგაგდო სამსახურიდან? სულ რალაც 229 მანეთის და 45 კაპეიკის გაიმასჭნება გქონდათ ბრალათ. კავშირის ფულ[illegible] იყო, — მარა ნუ გეშინია. აბა კა[illegible], ხე ხომ არ რის, რომ ერთ ადგილზე იყოს და ჭამა-ამა არ უნდოდეს!

სამსახურში უკვე მოწყობალხარ ლანჩხუთის რაიონის ბუკხალტერინსტრუქტორად, ყოჩაღ, ტიხო, ყოჩაღ! ასე ყოველთვის მოგხსნან სამსახურიდან მერე თუ დაგაწინაურებენ.

კარგ ძმია, კარ. შეიძლება გამწმენდ კომისიამ მაქაც მოგაგნოს, მარა შენ მაგის ნუ გეშინია, მერე კიდევ უკეთეს ადგილს იშოვნი. აბა, რას კვაჭი ხარ, ძმაო!

შენი შანცი.

ᲒᲝᲚᲓᲝᲠᲘ

ᲐᲠᲘ-ს, (სტალინისი, ყოფ. ᲮᲐᲨᲣᲠᲘ)—ადგილობრივ კინოს შესახებ ეს ოთხი შემდეგი სტრიქონიც კმარა:

კინოში ვერ შებედავ,
ბილეთი არის ძვირი.
ხედავ, რომ სალაროსთან
ჩამოუშვიათ ცხვირი.

ივენ გვაინტერესებს კინოს სხვა გაოეძოეია.

თქვენ კინო-თეატრს „მინიონი“ ჰქვია. გვქონდა ჩვენც ტფილისში ასეთი სახელწოდების კინო და, როგორც იქნა (ერთი წელიც არ გასულა მას შემდეგ) სახკინმრეწვმა მას სახელი გამოუცვალა. კარგს იზამდენ თქვენი კინოს მესვეურნიც რომ მიბაძავდენ სახკინმრეწვს (მხოლოდ ამ ერთ საქმეში შეიძლება სახკინმრეწვის მიბაძვა).

შესაძლებელია, სიტყვა „მინიონი“ მათ კარგად არც კი იციან და ჰგონიათ კარგი რამ. ჩვენ არც ამის ახსნა-განმარტებას დაიზარებთ:

მინიონი ნიშნავს: 1. სტამბის ერთგვარ წერილ შრიფტს, 2. საფრანგეთის მეფეების საყვარლების სახელწოდებას, 3. ერთგვარი ხარისხის შოკოლადს.

ამ სამში პირველ განმარტებას, ცხადია, თქვენ კინო-„მინიონთან **არაფერი** აქვს საერთო. რჩება „მეფის საყვარლები“ და „შოკოლადი“; ამ ორში ერთია რომელიძე, უფრო პირველი.

გარდა ამისა ორიოდე სიტყვა **„ᲮᲐᲨᲣᲠᲘ“**-ს შესახებაც:

„ᲮᲐᲨᲣᲠᲘ“ **არის**—მლაშე წყლის მარილი, გინა რაც წყლისა და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა: შაბი, ბავრუკი, გვარჯილა და მისთანანი, მათს ნიშნს იწოდების (საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, გვ. 453).

მლაშე წყალი მგონი არასოდეს ყოფილა ხაშურში, ალბად ასევე „ისტორიულად“ დაერქვა „მინიონი“ თქვენს კინოს. თუ ქალაქმა გამოიცვალა ძველი სახელი და მიიღო ახალი, შესაფერისი და თანადროული, **რა ძნელი** გახდა კინო-თეატრისათვის სახელის გამონახვა!

ᲫᲘᲚ-ᲓᲐᲛᲤᲠᲗᲮᲐᲚᲔ (ᲑᲐᲗᲝᲛᲘ) თქვენი წერილიდან კარგად ვერ გავიგეთ, თუ ვის ექომაგებათ ამ [illegible] ში—ცოლსა თუ ქმარს?:

ვარდენ ძიძიშვილს არ ჰყავ'
ამ ჩვენს ᲑᲐᲗᲝᲛᲨᲘ ტოლი.
მან დღეში სამჯერ უნდა
გალახოს თვისი ცოლი.

ივენც გეთანხმებით, რომ მილიცია „მოსაკითხია“, **რადგან** ის 'ასტიკ ნეიტრალობას იცავს ამ [illegible]ᲗᲮᲔᲕᲔᲨᲘ.

ᲒᲝᲒᲘᲡ (ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ). კლუბი გაქუდულ. როცა დარაჯ შალიკოს ტკბილად ეძინაო... კაცი გადარჩენილა მოპარვისაგან და თქვენ კიდევ **უსაყვედურებთ?!**

Დ. ᲫᲔᲓᲛᲐᲚᲚᲔᲚᲡ (ᲝᲑᲩᲐ). თვითონ თქვენ გასაგიათ და შეაფასეთ ეს სტრიქონები:

პირველ კოოპდუქანს განაგებს:
მიხაა ძველი „გმირია“
გლეხობას ისე უყვირს,
ყველას დაუსხა რეტია.

ეს არ არის ლექსი.

არც ის არის კარგი, რომ წერილს ბოლოში გაკეთ[illegible]ᲥᲠᲔᲑᲘᲗ: **„თუ არ დამიბეჭდეთ ეს წერილი, შემდეგ „ᲨᲝᲚᲢᲨᲘ“ გადავბარგდებიო“.**

— გზა მშვიდობისა,—გილოცავთ გზას.

ᲤᲠ. ᲡᲙᲘᲞᲘᲢᲐᲠᲡ (ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ): **გვწერთ, რომ:**

ლევარხი დაგვისნეულდა,
დაგვიდგა ცუდი მომენტი.
მაგრამ მის ადგილს დაიპერს
ორაგველიძე დომენტი.

ამაზე პასუხს რუსთაველი იძლევა:

მისივე მეტობს ყოველსა
ხული და ტურფა ფერობა.
მთვარესა მცხრალსა ვარსკვლავნი
ვითამცა ჰკადრა მტერობა?

ც 345
1930

ტარტაროზი

— ობლიგაცია გაყიდა!

რედ.: სარედაქციო კოლეგია, გაზ. „მუშას" გამოცემა,
მთავლ. № 1319
გაზეთების გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი".
კამოს ქუჩა № 68